

სარჩევი

რედაქტორის საგან	4
წინათქმა	6
შესავალი	7
შედარებითსამართლებრივი ანალიზი	10
კანონის მიზანი	12
თავი I და II	13
თავი III	18
თავი IV	21
თავი V	23
თავი VI	28
თავი VII	33
თავი VIII	47
თავი IX	50
თავი X	51
თავი XI	58
თავი XII	66
თავი XIII	68
თავი XIV	71
დასკვნა	73
გამოყენებული ლიტერატურა	75

რ ე ლ ა ქ ტ ო რ ი ს ა გ ა ნ

ფილოსოფიური გაგებით სამართალი ჯერარსული მოვლენაა. ის საზოგადოებასთან ერთად ვითარდება. საქართველოში სამართლებრივი რეფორმები კვლავაც აქტუალურია. სამართლებრივი „რადიაცია“ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში შეუქცევადი გახდა. საქართველომ დემოკრატიული და სამართლებრივი განვითარების ევროპული გზა აირჩია. განვითარების ამ ეტაპზე სამართლებრივი სისტემის სრულყოფის უმთავრესი წინაპირობა უცხოური სამართლებრივი პარადიგმების ტრანსფერია. თუმცა სამართლებრივი „გრავეიტაციის“ ამ ველში „მონური მიბაძვა“ და იმპლემენტაცია დაუშვებელია. ქართველმა კანონმდებელმა თავი უნდა დააღწიოს ამ მავნე ჩვევას, რათა მან სამართლებრივი რეცეფციის ის კლასიკური უნარ-ჩვევები შეიძინოს, რაც დიდი ხანია უკვე ევროპელ კანონმდებელთა მიერ დანერგილ იქნა. შედარება სამართალში სამართლის სწორ რეცეფციას ემსახურება. შედარებითი სამართალმცოდნეობა იურისტ-მკვლევართა საქმეა. კანონმდებლის უპირველესი ვალი სამართლებრივი იმპლემენტაციის დროს შედარებითი ანალიზის შედეგად არსებული დასკვნების გათვალისწინებაა, წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ არა რეცეფციურებულ, არამედ პოლიტიზირებულ, უფრო სწორად, პოლიტიკურ კონიუნქტურაზე დამყარებულ სამართალს. უკვე დიდი ხანია საქართველოში ფრაზა „საჯარო სამსახურის რეფორმა“ პოლიტიკური კულტურის თანმდევი მოვლენა გახდა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში “საჯარო სამსახურის შესახებ” კანონმდებლობა ბევრჯერ შეიცვალა, სამწუხაროდ, მან მაინც დასრულებული ფორმა ვერ მიიღო. საჯარო სამსახურის ეფექტიანობა კი დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარების ერთ-ერთი წინაპირობაა. მისი ინსტიტუციონალური რეფორმის მხოლოდ ნორმატიული საფუძვლების განსაზღვრა საკმარისი არაა. საჯარო სამსახურის ეფექტურობა კი სახელმწიფოსგან უფრო ქმედით ნაბიჯებს მოითხოვს, რათა ამ სფეროში რეცეფციურებული ნორმების რეალიზაციის შედეგად თანამედროვე ევროპული ტიპის საჯარო სამსახურის ინსტიტუციონალიზირებულად ქმედითი მოდელი ჩამოყალიბდეს. გარდა ამისა, დასახვეწია საქართვე-

ლოს კონსტიტუციის ის ნორმა, რომელიც საჯარო სამსახურს ეხება. რეცეფცირებული სამართლებრივი ნორმების შემდგომი სრულყოფისათვის არანაკლები მნიშვნელობა აქვს საზოგადოების ფართო ფენების ჩართულობას სამართლებრივი რეფორმის პროცესში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ პროცესში აკადემიური წრეების მონაწილეობა. ამჯერად, მკითხველის, საზოგადოების წინაშე სამსჯავროდ წარმოვადგენთ აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის დოქტორანტების სოფიო დემეტრაშვილისა და გიორგი სანიკიძის ერთობლივ ნაშრომს საჯარო სამსახურის ახალი კანონმდებლობის თაობაზე. ავტორთა ანალიზი ემყარება არა ნორმათა შინაარსის დესკრიპტიულ, არამედ შედარებით-სამართლებრივ და კრიტიკულ ანალიზს. ნაჩვენებია კანონმდებლობაში არსებული გარკვეული ხარვეზები და მათი გადაწყვეტის გზები. ვფიქრობ, წინამდებარე კვლევა დიდ დახმარებას გაუწევს საჯარო სამსახურის თეორიული და პრაქტიკული საკითხებით დაინტერესებულ პირებს, განსაკუთრებით კანონმდებლებს, რომლებმაც უნდა გააგრძელონ საჯარო სამსახურის ნორმატიული საფუძვლების რეფორმა.

ბექა ქანთარია
სამართლის დოქტორი, პროფესორი